ხელშეკრულება №26

26 თებერვალი 2013 წელი

ქ. კასპი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, ხათუნა ტყემალაძის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და ი/მ „ალბერტი ონიკაშვილი“ შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული, წარმოდგენილი ალბერტი ონიკაშვილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ი/მ "ალბერტი ონიკაშვილი" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ დაქვემდებარებაში შემავალ ს/ბაღს მიაწოდოს კონსტრუქციის მასალები და ანალოგიური ნივთები/საგნები.

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

1. საქონლის შეძენა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.
2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.
3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედდებულის და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.3 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 44100000
3.4 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.2. გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4.2. „მომწოდებელს" უფლება აქვს:
4.2.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიეწტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესრიდვის მოთხოვნებთან.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 26.02. 2013-დან 31.12.2013 წლის ჩათვლით.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამკვეთი“

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: ქ. კასპი, საკაძის ქ. №68
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232559781; ა/ნ GE32LB0115118234222000

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ კასპის ფილიალი ს/კ LBRTGE22;

დირექტორი

/ხ. ტყემალაძე/

„შემსრულებელი“
ი/მ „ ალბერტი ონიკაშვილი“
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 24001003637 ა/ნ 112191791029000

/ალბერტი ონიკაშვილი/.....